№ 98 მთავრობის მოამბე

საქართველოს რესპუბლიკა

უოველდღიური გაზეთი

წელიწადი მესამე

ფასი 3 მან. ოთხშაბათი, 5 მაისი 1920 წ.

მთავრობის მოამბე, უოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

საქართველოს რესპუბლიკა

მიიღება ხელის მოწერა გაზ. „საქ. რესპ.“ 1920 წლისთვის. გაზეთი ღირს 1 თვით 70 მან., ცალკე ნომერი ყველგან 3 მან. განცხადების ფასი პირველ გვ. პეტიტის სტრიქონი ტექსტის წინ 4 მან. მე-4 გვ. 3 მ. 50 კ. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრ. ზომისა 140 მ. 1 იანვ. გაზეთი ნისიად არავის გაეგზავნება. რედაქციის კანტორის მისამართი: ტფილისი, ბარონის ქ. № 6. ტელეფონი 1—82.

ოფიციალური განყოფილება

შტატი და ხარჯთ-აღრიცხვა

ფოსტა-ტელეგრაფის და ტელეფონის ადგილობრივ დაწესებულებათა 1920 წ. იანვრის 1-დან ივნისის 1-დე.

№№	თანამდებობათა დასახელება.	თანამდებობათა რაოდენობა	თითეულს თვიურად	თვიურად ყველას	ყველას მიმ-დინ. წლის იანვ. 1-დან მაის. 31-ე.
			მ ა ნ ე თ ი		
	მესამე კლასის კანტორა.				
8	**გორის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორა.**				
	უფროსი	1	3920	3920	19600
	თანაშემწე	1	3720	3720	18600
	ფ.-ტ. მოხელე I ხარისხისა	2	3920	7840	39200
	„ „ II „	2	3720	7440	37200
	„ „ III „	3	3620	10860	54300
	„ „ IV „	3	3520	10560	52800
	„ „ V „	2	3120	6240	31200
	„ „ VI „	4	2960	11840	59200
	უმცროსი მექანიკოსი დაბ. ჯამ.	1	3620	3620	18100
	ზედამხედველი მაღალი ჯამაგ.	1	3520	3520	17600
	„ დაბალი „	1	3120	3120	15600
	მონტიორი პირვ. კატეგ.	1	3360	3360	16800
	ფოსტალიონი მაღალი ჯამაგირით	5	2720	13600	68000
	„ დაბალი „	1	2400	2400	12000
	დეპეშის დამტარებელი მაღალი ჯამაგირით	3	2560	7680	38400
	„ „ დაბალი „	1	2240	2240	11200
	ჯამი	32	—	—	509800
	მეოთხე კლასის კანტორები.				
14	**სილნაღის ფოსტ.-ტელეგრ. კანტორა.**				
	უფროსი	1	3720	3720	18600
	თანაშემწე	1	3620	3620	18100
	ფ.-ტ. მოხელე II ხარისხისა	1	3720	3720	18600
	„ „ III „	1	3620	3620	18100
	„ „ IV „	2	3520	7040	35200
	„ „ V „	2	3120	6240	31200
	„ „ VI „	3	2960	8880	44400
	ზედამხედველი მაღალი ჯამაგირით	1	3520	3520	17600
	„ დაბალი „	1	3120	3120	15600
	ფოსტალიონი მაღალი ჯამაგირით	4	2720	10880	54400
	„ დაბალი „	1	2400	2400	12000
	დეპეშის დამტარებელი მაღალი ჯამაგირით	2	2560	5120	25600
	„ „ დაბალი „	1	2240	2240	11200
	ჯამი	20	—	—	320600
15	**ხაშურის ფოსტა-ტელეგ. კანტორა.**				
	უფროსი	1	3720	3720	18600
	თანაშემწე	1	3620	3620	18100
	ფ.-ტ. მოხელე II ხარისხისა	1	3720	3720	18600
	„ „ III „	1	3620	3620	18100
	„ „ IV „	1	3520	3520	17600
	„ „ V „	2	3120	6240	31200
	„ „ VI „	6	2960	17760	88800
	ზედამხედველი მაღალი ჯამაგირით	2	3520	7040	35200
	„ დაბალი „	1	3120	3120	15600
	მონტიორი პირველი კატეგორიისა	1	3360	3360	16800
	ფოსტალიონი მაღალი ჯამაგირით	2	2720	5440	27200
	„ დაბალი „	1	2400	2400	12000
	დეპეშის დამტარებელი მაღალი ჯამაგირით	3	2560	7680	38400
	„ „ დაბალი „	4	2240	2240	11200
	ჯამი	24	—	—	367400
16	**ზესტაფონის ფოსტა-ტელეგ. კანტორა.**				
	უფროსი	1	3720	3720	18600
	თანაშემწე	1	3620	3620	18100
	ფ.-ტ. მოხელე II ხარისხისა	1	3720	3720	18600
	„ „ III „	1	3620	3620	18100
	„ „ IV „	1	3520	3520	17600
	„ „ V „	2	3120	6240	31200
	„ „ VI „	4	2960	11840	59200
	ზედამხედველი მაღალი ჯამაგირით	1	3520	3520	17600
	„ დაბალი „	1	3120	3120	15600
	ფოსტალიონი მაღალი ჯამაგირით	2	2720	5440	27200
	„ დაბალი „	1	2400	2400	12000
	დეპეშის დამტარებელი მაღალი ჯამაგირით	2	2560	5120	25600
	„ „ დაბალი „	1	2400	2240	11200
	ჯამი	19	—	—	290600
17	**ჭიათურის ფოსტა-ტელ. კანტორა.**				
	უფროსი	1	3720	3720	18600
	თანაშემწე	1	3620	3620	18100
	ფ.-ტ. მოხელე II ხარისხისა	1	3720	3720	18600
	„ „ III „	1	3620	3620	18100
	„ „ IV „	1	3520	3520	17600
	„ „ V „	1	3120	3120	15600
	„ „ VI „	5	2960	14800	74000
	ზედამხედველი მაღალი ჯამაგარით	1	3520	3520	17600
	ფოსტალიონი მაღალი ჯამაგირით	3	2720	8160	40800
	„ დაბალი „	1	2400	2400	12000
	დეპეშის დამტარებელი მაღალი ჯამაგირით	1	2560	2560	12800
	„ „ დაბალი „	1	2240	2240	11200
	ჯამი	18	—	—	275000

1920 წ. აპრილის 8-ს

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგი **ექვთ. თაყაიშვილი.**

რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

ტფილისის ვაჭართა ბანკის გამგეობა

ამით აცხადებს ბ. ბ. აქციონერთა საყურადღებოთ, რომ კვირას, მაისის 30-ს, დილის 11 საათზე, ქალაქის საკრედიტო საზოგადოების ბინაზე (პუშკინის ქ., № 3), დანიშნულია

ჩვეულებრივი საზოგადო კრება

ბანკის აქციონერებისა. განსახილველი საგნები: 1. საბჭოს, გამგეობის და სარევიზიო კომისიის მოხსენება დაწესებულების მოქმედების შესახებ 1919 წ. საანგარიშო წლის განმავლობაში. 2. 1919 წლის ანგარიშის დამტკიცება და მოგების გაყოფა. 3. 1920 წლ. ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცება. 4. გამგეობის ერთი წევრის არჩევა, ი. გ. ორბელოვის მაგივრათ, რომელიც გამგეობიდან გამოდის ვადის გასვლის გამო. 5. სარევიზიო კომისიის 5 წევრის არჩევა 1920 წლისთვის.

ბანკის აქციები, რომლებიც უფლებას აძლევენ საზოგადო კრებაზე, ან მათ მაგიერ სახელმწიფო და საკრედიტო დაწესებულებიდან მიღებული მოწმობა, რომ აქციები შენახული ან დაგირავებული, აქციების №№ დაწვრილებით ჩვენებით, უნდა წარედგინოს ბანკის გამგეობას ტფილისში, არა უგვიანეს 7 დღისა საზოგადო კრებამდე, უკან მიიღება მხოლოდ საზოგადო კრების გათავების შემდეგ.

ბანკის აქციების მეორე, მესამე და მეოთხე გამოცემის დროებითი მოწმობების წარმოდგენა როგორც სახელობითის საჭირო არ არის, რადგან მათი პატრონების სახელები შეტანილი იქნება აქციონერთა სიაში გამგეობის წიგნებში ჩაწერილის მიხედვით, ამასთანავე გამგეობის წიგნებში შეტანა დროებითი მოწმობების პატრონების სახელებისა ან მოწმობის გადაცემა მეორე პირზე, უნდა მოხდეს არა უგვიანეს 7 დღისა საზოგადო კრებამდე, წინააღმდეგ შემთხვევაში დროებითი მოწმობების პატრონებს, ბანკის წესდების მე-57 §-ის ძალით არ ექნებათ ხმის უფლება საზოგადო კრებაზე არც პირადათ, არც მონდობილობით.

ვექილობა გადაცემის შესახებ უნდა წარედგინოს გამგეობას არა უგვიანეს 3 დღისა საზოგადო კრებამდე. პირველ გამოცემის აქციები №№ (20.000), ან მათი მაგიერი მოწმობები მიიღება გამგეობაში ყოველ დღე დილის 10 ს.—12 ს. გარდა უქმეებისა. მათი მიღების ვადა და აგრეთვე დროებითი მოწმობების ახალ პატრონთა სახელების გამგეობის წიგნებში შეტანისა, თავდება შაბათს, მაისის 22-ს დღის 1 საათ. 484

კანონი

რესპუბლიკის ცენტრალი სამეცნიერო არქივის დაარსებისა.

1. დაარსებულ იქნეს ამა 1920 წლის მარტის 1-დან ქალ. ტფილისში სახალხო განათლების სამინისტროსთან რესპუბლიკის ცენტრალი სამეცნიერო არქივი ამ კანონთან დართული შტატისა და ხარჯთ-აღრიცხვის თანახმად.

2. პირველი (1) მუხლში აღნიშნული ცენტრალი სამეცნიერო არქივის შტატისა და ხარჯთ-აღრიცხვის საჭიროებისათვის გაცემულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან განათლების მინისტრის განკარგულებისათვის ამა 1920 წ. მარტის 1-დან ივნისის 1-დე ორას ორმოცდა თორმეტი ათას ცხრაასი (252.900) მანეთი.

3. გაცემულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან განათლების მინისტრის განკარგულებისათვის ერთდროულად ექვსასი ათასი (600.000) მანეთი სხვა და სხვა ადგილის არქივების ქ. ტფილისში გადმოსატანად.

4. კანონი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1920 წ. აპრილის 23-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი **ალ. ლიმთათიძე.**

რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

განკარგულებანი

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარისა.

3 მაისი, 1920 წ., № 12.

კონსტანტინე ამბაკოს ძე სულაქველიძე დაინიშნოს ამა წლის 3 მაისიდან ქალაქ ტფილისის, ტფილისის, გორის, დუშეთის, თიანეთის, თელავის, სილნაღის, ბორჩალოს, ახალციხე-ახალქალაქის მაზრებისა და არტაანის ოლქის გენერალ-გუბერნატორად.

მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

გენერალ-გუბერნატორისაგან

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილებით, მე დანიშნული ვარ ქ. ტფილისის და ალმოსავლეთ საქართველოს მაზრების გენერალ გუბერნატორათ იმ უფლებებით, რომელიც აღნიშნულია საერთო საგუბ. დაწეს. 23 მუხ. დამატების მე-19 მუხ. (კან. კრებ. მე-II ტ.) და დამფუძნებელ კრების 1919 წ. 11 ნოემბრის დეკრეტში. ვაცხადებ საყოველთაოდ, რომ დღეიდან მე ვიწყებ ჩემი მოვალეობის აღსრულებას.

ქ. ტფილისისა და ალმოსავლეთ საქართველოს მაზრების გენერალ-გუბერნატორი

კ. სულაქველიძე.

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროსი.

22 აპრილი, 1920 წ., № 136.

დაინიშნოს შორაპნის მაზრის აქციზის ინსპექტორის უმცროსი თანაშემწე ერმალოზ ფარნაოზის ძე იაშვილი ამავე მაზრის აქციზის ინსპექტორის უფროსის თანაშემწედ ამა წლის 1 აპრილიდან.

22 აპრილი, 1920 წ. № 137.

დაინიშნოს სოხუმის ოლქის აქციზის ინსპექტორის უმცროსი თანაშემწე პარმენ პლატონის ძე ჯაფარიძე ამავე ოლქის აქციზის ინსპექტორის უფროს თანაშემწედ ამა წლის 1 აპრილიდან.

22 აპრილი, 1920 წ., № 138.

დაინიშნო სოხუმის ოლქის აქციზის ინსპექტორის უმცროსი თანაშემწე ნიკოლოზ ივანეს ძე ჯამაოაული ამავე მაზრის აქციზის ინსპექტორის უფროს თანაშემწედ ამა წლის 1 აპრილიდან.

22 აპრილი, 1920 წ., № 139.

დაინიშნოს ტფილისის მე-2 უბნის აქციზის ინსპექტორის უმცროსი თანაშემწე გრიგოლ ალექსანდრეს ძე ექსანიშვილი ამავე უბნის აქციზის ინსპექტორის უფროს თანაშემწედ ამა წლის 1 აპრილიდან.

23 აპრილი, 1920 წ. № 140.

დაინიშნოს გორის მაზრის აქციზის ინსპექტორის უფროს თანაშემწედ ახალციხის მაზრის აქციზის ინსპექტორის უფროსი თანაშემწე დავით მალხაზის ძე ანანიაშვილი ამა წლის 21 აპრილიდან.

23 აპრილი, 1920 წ., № 141.

დათხოვნილ იქნას სრულიად სამსახურიდან თანახმად თხოვნისა ტფილისის მე-2ე ნაწილის აქციზის ინსპექტორის უმცროსი თანაშემწე სერგო გიორგის ძე ჯაფარიძე ამა წლის 21 აპრილიდან.

3 აპრილი, 1920 წ., № 104.

განთავისუფლებულ იქნეს სრულიად სამსახურიდან თანახმად თავის თხოვნისა საბიუჯეტო-სახაზინო ნაწილის ბუხჰალტრის თანაშემწე ნიკოლოზ გუსარის ძე დგებუაძე ა. წ. აპრილის 1-დან.

3 აპრილი, 1920 წ., № 105.

გადარიცხულ იქნას საბიუჯეტო-სახაზინო ნაწილის ბუხჰალტრის თანაშემწე ტარასი დავითის ძე ხოშტარია ბუხჰალტრის თანამდებობაზე ამა წლის პირველ აპრილიდან.

3 აპრილი, 1920 წ. № 106.

გადარიცხულ იქნას საბიუჯეტო-სახაზინო ნაწილის ბუხჰალტრის თანაშემწე ალექსანდრე ევგენის ძე ემიხი ბუხჰალტრის თანამდებობაზე ამა წლის პირველ აპრილიდან.

ფინანსთა მინისტრის ამხ. **ხ. ავალიანი.**

არა ოფიციალური განყოფილება

სამხედრო მინისტრისაგან.

საქართველოს მხედრობავ, კომანდირებო, ჯარისკაცნო და გვარდიელებო.

მთელი ქვეყნიერება, მტერი და მოყვარე სულ განაბული შემოგყურებთ თქვენ. ველურობისა და ბარბაროსობის ორმა დიდმა ნაკადულმა თურქთა ფანატიკოსებმა და რუსთა ბოლშევიკებმა კავშირი შეკრეს. აოხრებული ოსმალეთი და განადგურებული რუსეთი ერთი მეორეს კავშირის ხელს უწვდის და ვინაიდან მათ შუაში საქარველო სდგას, ისინიც ჩვენს განადგურებას აპირებენ. ამ გაველურებულ ურდოებს უნდათ საქართველოს გვამზე სამეზობლო ხიდი გასდონ. დაბეჩავებული თათარი და გამურტალებული რუსი ბალშევიკი ცდილობს ლახვარი ჩასცეს ქართველი ერის თავისუფლებას. ისინი ქართველ ხალხს დაპყრობითა და დამონებით ემუქრებიან. ეს შავი ძალები ვერ ინელებენ, მათ თვალის ეკლათ გადაექცათ, სიხარბისა და შურის საგნათ შეექნათ ის საქართველო, რომელმაც შესძლო მტკიცე ხალხური რესპუბლიკა შეექნა. ორი პოლიტიკური კოტორი ერთი მეორეს დაუძმობილდა. ევროპიდან გაძევებული და წყალ წაღებული ბალშევიზმი თურქთა ფანატიზმს ეპოტინება, უკვე განწირული პანისლამიზმი უდღეურ კომუნიზმს დაუკავშირდა. ორი წყალ წაღებული ერთი მეორეს აეკიდა. მოსკოვის კომისარები და ოსმალეთის ფაშები, ლენინი და ქემალ ფაშა შეერთდენ ევროპისა და კულტურის წინააღმდეგ და მათი განზრახვაა პირველ ყოვლისა გაანადგურონ ევროპის ის ნაწილი, რომელიც შემოჭრილია აზიაში საქართველოს სახით. წამხდარმა მეზობლებმა ჩვენი გაფუჭებაც განიზრახეს. თქვენ იცით, რომ თქვენი რესპუბლიკა არავის არ ესხმის თავს, მას ყველასთან ძმური და კეთილმეზობლური განწყობილება სურს. ის არავის სჩაგრავს, მაგრამ არც არავის დაჩაგვრინებს თავს.

საქართველოს მხედარნო! თქვენ მიერ შექმნილი თქვენი საყვარელი სამშობლო დღეს მთელი მსოფლიოს ყურადღების ცენტრი შეიქნა. აქ სწყდება დიდი ისტორიული კითხვა: შესძლებს თუ არა ცივილიზაციისა და პროგრესის ორი შავი ძალა გადალახოს საქართველო და შეკრას კავშირი თუ არა. პატარა საქართველოს ისტორიამ დიდი მსოფლიო საქმე დააკისრა. ჩვენი სახელმწიფოს ბედი და იღბალიც აი ეხლა უნდა საბოლოოთ გაიჭედოს. მთელი მოწინავე კაცობრიობის, მთელი ევროპის დემოკრატიის თანაგრძნობა და დახმარება ჩვენს მხარეზეა. მთელი ქართველი ერი მტკიცეთა სდგას თქვენს ზურგს უკან. მაშ გაათკეცეთ თქვენი ენერგია და მუშაობა. მოღალატე იუდა თუ შემოგეპარათ თქვენ წრეში არ დაინდოთ. მჭიდროთ შეკარით თქვენი რაზმები. გასწით სამშობლოს საზღვრებზე; გალესილი ხმალი ქარქაშში ეგოს, მხოლოდ ფარი მოიმარჯვეთ, ვინაიდან თქვენ არავის ესხმით თავს და თუ მუხანათმა მტერმა მახვილით შემოგიტიოს, მაშინ მახვილითავე განგმირე იგი და გასწი წინ, თვითონ ეკვეთე, ვიდრე მტერმა არ დაიჩოქოს და ზავი არ გთხოვოს.

ზურგის სამ ედრო დაწესებულებებს, შტაბებს, კანცელარიებს, სამნეო კომიტეტის განყოფილებას ტ სხვებს ახსოვდეთ, რომ ისინი არსებობენ ჯარისკაცებისათვის, ფრონტისათვის. ვუბრძანებ შეამცირონ კანცელიარული ფორმალობა და ბოლოკიტა. გაათკეცონ ენერგია და მუშაობა, ღილას და საღამოს და თუ საჭირო იქნება ღამითაც. და ვაი იმ მოხელეს რომლის დაუდევრობით, ზარმაცობით ან ვერაგობის მიზეზით ჯარისკაცს ერთი დღით დაუგვიანდება სურსათი, ტ ტან ფეხსაცმელი.

გაერთსულოვნებული ფრონტი და ზურგი, გაათკეცებული და აღფრთოვანებული შრომა, ენერგია, ბრძოლა და გამარჯვება ჩვენია.

სამხედრო მინისტრი **გრ. ლორთქიფანიძე**

მაისის 4, 1920 წ.

დამფუძნებელი კრება

30 აპრილის სხდომა.

(დასასრული)

ვალ. ჯულეი. დღეს, როდესაც კვლავ მოადგა ჩვენ საზღვარს თურქო-ბალშევიკური ბრბოები, ჩვენთვის უკვე ნათელია და აშკარა ის მოვლენა, რომ ყოველთვის არსებობდა კავშირი ბალშევიკებს და ოსმალეთის შორის. ამას ამტკიცებს ბალშევიკების მთელი წარსული ბოღვაწეობა, რომლებიც მაშინ მოგვიწყობდენ აჯანყებას ზურგში, როდესაც თავს გვესხმოდა ოსმალეთი. გაიხსენეთ თუ გინდათ ბათომის, სოხუმის და სხვა ადგილების ტრაღედია და თქვენთვის უდავო გახდება მათ შორის არსებული კავშირი. მაშინაც კი, როდესაც თავს გვესხმოდა შავი გენერალი დენიკინი არ დაინდვეს საქართველოს მშრომელი ხალხი და აჯანყება მოგვიწყვეს შიგნით. მაგრამ მჭიდროდ დარაზმული დემოკრატია ყოველთვის უკუ აქცევდა მათ მუხანათურ თავდასხმას.

დღეს მდგომარეობა უკეთესია. თუ წინათ ყველა ჩვენთაგანში იყო რყევა და ორეოფობა, დღეს, როდესაც დავინახეთ ნამდვილი სახე ბალშევიზმისა, ჩვენში აღარ ექნება ადგილი ამ ორეოფობას (ტაში). შესაძლებელია ეხლაც მოინდომონ შიგნით არეკ-დარევით გამოწვევა, მაგრამ მით უფრო სასტიკათ ჩავაქრობთ მოღალატეების და ავაზაკების გამოსვლას (ტაში). ყველამ უნდა იცოდეს, რომ დღეს ყოფნა არ ყოფნის საკითხი სდგას ჩვენს წინაშე. ყველანი დავიხოცებით და მტერს ერთ ნაბიჯს არ დაუთმობთ (ტაში). მოქალაქენო! მე, რა თქმა უნდა, წინააღმდეგი არა ვარ კეთილმეზობლურ განწყობილების და მშვიდობიან მოლაპარაკების, მაგრამ ჩვენ ყოველ შემთხვევისთვის მზად უნდა ვიყვეთ, რომ წითელ იმპერიალიზმს სასიკვდილო ლახვარი ჩავცეთ, თუ იგი გაბედავს და ჩვენი თავისუფლების მოსპობას შეეცდება. მე მწამს, რომ აქ საქართველოს საზღვრებთან გაითხრება ბალშევიზმის სამარე. აქ მოხდება მისი დაშლა და დასამარება. თუ ბალშევიკებმა გაბედეს და გადმოლახეს ჩვენი საზღვრები, ჩვენ ჯარს და გვარდიას ამით მიეცემა საშუალება, კიდევ უფრო მაღლა ააფრიალოს თავისი წითელი დროშა და გაანთავისუფლოს ყუბანის და თერგის დემოკრატია ბალშევიზმის ტირანიისაგან (მხურვალე ტაში).

როდესაც აქ მარტოობაზე ლაპარაკობენ მე მგონია ეს არ არის მართალი. ჩვენ გვყავს მოკავშირე და ეს არის ევროპის დემოკრატია. როდესაც იგი შეხედავს, რომ საქართველოს პროლეტარიატი თავდადებით იცავს თავის თავისუფლებას და რევოლიუციის მონაპოვარს, მთელი მისი სიმპატიები ჩვენ მხარეზე იქნება. მეორე მოკავშირე ეს ისევ რუსეთის დემოკრატია იქნება. დღეს იგი უფლება აყრილია, ბალშევიზმის ბორკილებით არის შებოჭილი, მაგრამ მე მრწამს იგი მალე შესძლებს ამ ტირანების უღლის მოხსნას, მე მრწამს აგრეთვე, რომ სომხეთის მართველი პარტია დაშნაკცუთუნი, რომელიც ყოველთვის მტერი იყო სომხეთის ხალხისა, დღეს მაინც შეიგნებს თავის ინტერესებს ტ გვერდში ამოგვიდგება ამ წმინდა ბრძოლაში. დღეს ჩვენ გვყავს გაწრთვნილი ჯარი და ომში გაკაჟებული გვარდია (ტაში). რომ ეს ძალა შესძლებს, შეასრულებს თავის მოვალეობას და ქვეყანას აცდენს ამ საფრთხეს (ტაში). თუ ჩვენ სავსებით შევიგნებთ იმ სიტყვების აზრს და შინაარს, რომლითაც დაასრულა აქ თავის სიტყვა მთავრობის თავმჯდომარემ, მაშინ ვერავითარი საფრთხე ჩვენ ვერაფერს დაგვაკლებს. მაშინ გამარჯვებაც უზრუნველყოფილია (ტაში). მხოლოდ საჭიროა მთავრობამ ერთ გარემოებას მიაქციოს ყურადღება. ეს ის რომ, ჩვენმა ნორჩმა ბურჟუაზიამ გამოიღოს თავისი წვლილი. მთავრობამ ამ შემთხვევაში მეტი ენერგია უნდა გამოიჩინოს, რომ ეს კლასი როგორც წინათ, ეხლაც არ დარჩეს განზე. მან სასტიკი ზომები უნდა მიიღოს ამათ წინააღმდეგ. მაშინ მშრომელი ხალხი მეტი აღფრთოვანებით დაირაზმება და ის დროშა, წითელი და სამფეროვანი დროშა, რომელიც მაღლა უჭირავს მას, არ დაეშვება, გამარჯვებული დაბრუნდება და აქ, ამ დარბაზში მოულოცავს საქართველოს ბრწყინვალე გამარჯვებას (ტაში).

რეზოლიუცია.

დასასრულ კრებამ შემდეგი რეზოლიუცია მიიღო:

მოისმინა რა მთავრობის თავმჯდომარის განცხადება საქართველოს დღევანდელ მდგომარეობის შესახებ და მსჯელობა ამ განცხადებისა გამო, დამფუძნებელი კრება აღიარებს: ქართველმა ერმა რევოლიუციის პროცესში თავისი დამოუკიდებლობა აღადგინა, გახდა სრული ბატონ-პატრონი თავისი ბედიღბლისა, ხალხის უზენაესი ორგანო, დამფუძნებელი კრება შექმნა, სახელმწიფოში დემოკრატიული წესწყობილება დაამყარა და რევოლიუციურ მონაპოვართა ფხიზელი დარაჯი შეიქნა.

საქართველოს დემოკრატიამ ორი წლის განმავლობაში საკუთარი ძალღონით უდიდესი სიძნელენი გადალახა შიგნით და გარეთ, ის მტკიცეთ იცავდა მეზობლებთან კეთილ განწყობილებას და დაწინაურებულ ევროპასთან მჭიდრო დამოკიდებულებას. საქართველოს ღვაწლს ეროვნულ და საერთაშორისო სფეროში ამაოთ არ ჩაუვლია, იგი იცნო ევროპიულმა სახელმწიფოებმა და მით მან ფეხი შესდგა თავისუფალ ხალხთა ოჯახში. ჩვენი მისწრაფება ნათელია და სამართლიანია. დღეს ერის და დემოკრატიის უძვირფასეს განძს: დამოუკიდებლობას და თავისუფლებას საშიშროება მოელის.

მოგვევლინა ბალშევიზმის სამოსელში გახვეული რუს-თურქული იმპერიალიზმი, რომელიც ლამობს ჩვენი დამოუკიდებლობა მთლიანად დაამხოს, ეს იმპერიალისტური შავი ძალა უკვე შემოიჭრა ადერბეიჯანში, რომლის პარლამენტმა, თანახმად მოსკოვ-არზრუმის დირექტივებისა, გააუქმა თავისი თავი და მით მშრომელ ხალხს ძველი უღელი დაადგა და ევროპიდან აზიისაკენ აქნევინა პირი. ამას ვერ ჩაიდენს საქართველოს დამფუძნ. კრება და მთავრობა. ამას ვერ ჩაიდენს ქართველი ტ საქართველოს დემოკრატია. ის სამშობლოს, დემოკრატიას, თავისუფლებას ვერ უღალატებს, ვერ გასცემს, ვერ გაჰყიდის, ევროპისაგან ის პირს აზიისაკენ ვერ იბრუნებს. დემოკრატიზმის მაგიერ დესპოტს ადგილს ვერ დაუთმობს; ანარქიის ტალღებში ხალხს ვერ გადაისვრის. დამფუძნებელი კრება ღრმად არის დარწმუნებული, რომ მთელი საქართველოს ხალხი, განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა და მიმართულებისა, ქართველი ერი, საქართველოს დემოკრატია, მისი სახელოვანი, ბრძოლაში გამობრძმედილი შეიარაღებული ძალა — ჯარი და სახალხო გვარდია და მთელი შეიარაღებული ხალხი შეურყევლად დაიცავს საქართველოს დამოუკიდებლობას და თავისუფლებას. დამფუძნებელი კრება მიმართავს ევროპის დემოკრატიას, რომ იმანაც აღიმაღლოს ხმა უზენაესი სამართლიანობის დასაცავად და ღრმად სწამს, რომ გასაჭირის დროს ევროპის დემოკრატია არ დასტოვებს საქართველოს დემოკრატიას მარტო ბრძოლის ველზე. დამფუძნებელი კრება მთელი თავისი არსებით მხარს დაუჭერს მთავრობას ერის წმინდათა-წმიდას — მისი დამოუკიდებლობის და თავისუფლების დაცვის საქმეში. სავსებით ადასტურებს მთავრობის მიერ თავდაცვისათვის მიღებულ ზომებს და ავალებს მას გაორკეცებული ენერგიით განაგრძოს დაწყებული საქმე ქვეყნის საკეთილდღეოთ.

დამფუძნებელი კრება ავალებს თავის პრეზიდიუმს მამაოთოს საქართველოს ხალხს შესაფერი მოწოდებით.

დამფუძნებელი კრების მოწოდება.

საქართველოს შვილნო!

ჩვენი ქვეყნის საზღვრებს მტერი უახლოვდება.

უდიდესი განსაცდელის ჟამს სამშობლო თავდაცვისთვის მოუწოდებს ყოველ მოქალაქეს.

ჩვენს ქვეყანას მტრად ევლინება ბალშევიზმის სამოსელში გახვეული რუს-თათრული იმპერიალიზმი.

შინაური ბრძოლითა და უწესრიგობით განადგურებული რუსეთის, ამ პურის ქვეყნის დამშეული, გაბოროტებული ბრბოები უკავშირდებიან არზრუმის ფაშებს, ჩვენს ისტორიულ მტრებს და ამაოდ ოცნებობენ დაბარცხებული ოსმალეთის აღდგენას, განათლებული ევროპის შემუსვრას.

ქართველმა ხალხმა იცის, რომ ორი წლის დამოუკიდებელი არსებობის განმავლობაში საქართველოს არც ერთხელ არ მოუნდომია სხვისი მიწა-წყლის წაგლეჯა, მეზობლების დაჩაგვრა, იმათზე ძალადობის გამოჩენა.

ჩვენ ირგვლივ, მოსაზღვრე ქვეყნებში, სისხლის რუები იღვრებოდა, საუკუნოებით შექმნილი სიმდიდრე იძარცვებოდა. ამ დროს ჩვენი ხალხი, საშინელი ომისაგან დაუძლურებული, თანდათან წელში იმართებოდა, ინახავდა და იცავდა ძველ სიმდიდრეს; ჰქმნიდა ახალს.

ჩვენი პატარა ქვეყანა შეუდრეკელი ციხე იყო არა მარტო თავისი შვილებისათვის; აქ სხვა ხალხის დევნილი შვილებიც იფარავდნენ თავს.

ჩვენ მოგვაშურეს დენიკინელებისაგან დამარცხებულმა ბალშევიკებმა, ჩვენს კალთას ამოეფარნენ თვით დამარცხებული დენიკინელები; ჩვენსკენ გამორბოდნენ სომხეთიდან აწიოკებული თათრები; ჩვენს ქვეყანაში პოულობდნენ ბინას ადერბეიჯანში დევნილი სომხები.

მაგრამ ამ ორი წლის განმავლობაში არც ერთ ჩვენს მეზობელ ხალხს არ უნახავს ლტოლვილი ქართველები.

ომისა და ანარქიის ჯოჯოხეთიდან შემოხიზნულნი ჩვენი მშვიდობიანი ქვეყნის მიწას ჰკოცნიდნენ, სამოთხეს უწოდებდენ საქართველოს.

დღეს რუს-თათართა ბრბოებს სურთ ააოხრონ, ჯოჯოხეთს დაამგვანონ ჩვენი ქვეყანა; სურთ ევროპასთან ომში ჩაითრიონ ჩვენი ხალხი.

ჩვენმა მეზობელმა ადერბეიჯანმა გასწყვიტა ჩვენთან კავშირი და ანარქიის უფსკრულისაკენ გაექანნა:

ამას არ ჩაიდენს ქართველი ხალხი.

ის სამშობლოს, დემოკრატიას, თავისუფლებას—ვერ ულალატებს, ვერ გასცემს, ვერ გაჰყიდის, ევროპისაგან აზიისაკენ ვერ იბრუნებს პირს, განათლებას უმეცრებაზე ვერ გასცვლის, დემოკრატიზმის მაგიერ დესპოტიას ვერ დაუთმობს ადგილს; ანარქიის ტალღებში ვერ გადაეშვება.

დამფუძნებელი კრება ღრმად არის დარწმუნებული, რომ მთელი საქართველოს ხალხი, განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა და მიმართულებისა, ქართველი ერი, საქართველოს დემოკრატია, მისი სახელოვანი, ბრძოლაში გამობრძმედილი შეიარაღებული ძალა—ჯარი და სახალხო გვარდია მთელი ხალხი შემოკრბება დამფუძნებელი კრებისა და მთავრობის გარშემო, შეურყევლად დაიცავს საქართველოს დამოუკიდებლობას და თავისუფლებას.

გაუმარჯოს დამოუკიდებელ თავისუფალ საქართველოს!

გაუმარჯოს თავდაცვას!

დამფუძნებელი კრება.

შრომის სამინისტროდან.

ყველა კერძო, საზოგადო და სახელმწიფო საწარმოოთ და დაწესებულებებს, შრომის სამინისტროს ყველა კომისრებს და რწმუნებულებს.

რესპუბლიკის დასაცავათ მობილიზაციის გამოცხადების გამო, შრომის სამინისტრო წინადადებას აძლევს ყველა სახელმწიფო, საზოგადო და კერძო დაწესებულებათ იხელმძღვანელონ კანონით, რათა შეენახოთ ადგილი იმ მუშა-მოსამაახურეებს, რომლებიც სამხედრო სამსახურში მიიღეს. („საქ. რესპ.“ 1919 წ. № 37).

საწარმოოს და დაწესებულების ადმინისტრაცია ვალდებულია დაეკითხოს ჯარში გაწვეულ მუშა-მოსამსახურეს, ვის ანდობს ის ჯამაგირის ნახევრის მიღებას, რომელიც ეკუთნის მას კანონ. მე-2 მუხ. ძალით.

შრომის სამინისტროს კომისრები და რწმუნებულები ვალდებულნი არიან თვალყური ადევნონ კანონის წესიერათ შესრულებას და იმ შემთხვევაში თუ ის დაირღვევა შეადგინონ ოქმი და გადასცენ სათანადო მომრიგებელ მოსამართლეს აღნიშნულ კანონის მე-10 მუხ. წესით.

შრომის მინისტრის ამხანაგი **ა. ბახტაძე.**

გენერალურ შტაბის ცნობები

(27 აპრილიდან 2 მაისამდე).

გაგრის ფრონტზე სიმშვიდეა.

მიღებულ ცნობების მიხედვით: ყაზახებმა სოჭი გასწმინდეს და ადლერისკენ წაიწიეს. როგორც ხმებია ბალშევიკებთან მოლაპარაკება სწარმოებს. დონელების და თერგის ყაზახები ცდილობენ ყირიმში გასვლას. ბათუმის ოლქში ინგლისის სარდლობის თანხმობით ჩვენი ჯარის ნაწილების მიერ დაჭერილია ალამბარი.

არდაგანის მიმართულებით სიწყნარეა.

აღმოსავლეთ საზღვარზე ჩვენმა რესპუბ. სანაპირო ჯარებმა დაიჭირეს ჰოილინის ხიდი მტკვრის გადაღმა და წითელი ხიდი მდინარე ხამთან. აქ პირველ მაისს შეიარაღებულ თათრებმა ძალა იხმარეს ჩვენ მცირე რიცხოვან ჯარზე და დაიჭირეს ეს ხიდი. ჩვენი მხრით მიღებულია საჭირო ზომები ამ ხიდის უკანვე დაბრუნებისთვის. კავკასიისკენ მიმართულებით სიმშვიდეა. 25 აპრილს ჩოდილო-კავკასიის ბალშევიკები გადავიდნენ მთის რესპუბლიკის საზღვრებს და ზოგიერთ შეერთებულ ადგილობრივ ძალებით შიუახლოვდნენ სოფელ კოშკის. ამის ლიკვიდაციის მოსახდენათ მიღებულია ზომები.

3 მაისი 1920 წ. ყველა ფრონტებზე სიწყნარეა, არავითარი ცვლილება არ მომხდარა. 1 მაისს ტრაპეზუნდში ბოლშევიკების მანიფესტაციები მოხდა.

ახალი ამბები

✦ 3 მაისს ღამით სამხედრო სასწავლებელზე შეიარაღებულ თავდასხმის გამო სიღნაღის მცხოვრებ ერემიანცს, რომელიც ამ მიზნისათვის ბათომიდან იყო გამოწვეული, მუშეგიანცს, რომელიც ყარსიდან ჩამოვიდა და ბრიანცს, რომელიც ალექსანდროპოლიდან ჩამოვიდა, სამხედრო სასამართლომ სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა. სასამრთლოს განაჩენი გუშინვე მოიყვანეს სისრულეში.

✦ გარდაიცვალა იუნკერი მაყაშვილი, რომელიც ბოლშევიკებმა დასჭრეს სამხედრო სკოლაზე თავდასხმის დროს.

✦ მაისის 2-ს შესდგა ხალხთა ლიგის საქართველოს საზოგადოების გამგეობის სხდომა. თავმჯდომარეობდა ბ-ნი ვ. ღამბაშიძე. სხდომას დაესწრო ვ. ჩერქეზიშვილიც, რომელმაც გააკეთა მოხსენება ხალხთა ლიგის მუშაობის შესახებ ევროპაში. გამგეობამ მადლობა გადაუხადა ბ-ნ ვ. ჩერქეზიშვილს. დაარსებულ გამგეობამ დაადგინა ახლო მომავალში მოიწვიოს საზოგადო კრება, რომელზედაც მიწვეულ იქნებიან მუშათა პროფესიონალურ კავშირთა, კოოპერატივის, ქართველ ქალთა საზოგადოების წარმომადგენელნი. საზოგადო კრებაზე წაკითხული იქნება მოხსენებანი: 1) ვ. ჩერქეზიშვილი (ისტორია ხალხთა ლიგისა და საერთო მიმოხილვა) 2) აკ. ჩხენკელი (ერთა ლიგის მნიშვნელობა) 3) პ. საყვარელიძე (ხალხთა ლიგა და მუშათა კლასი) 4) გ. გვაზავა (საერთაშორისო უფლება და ხალხთა ლიგა) 5) ვ. ღამბაშიძე (ხალხთა ლიგის საქართველოს საზ. ორგანიზაცია).

✦ ბაქოდან მიღებულ ცნობებით იქაურ მუშებში დიდი უკმაყოფილება არსებობს ბაქოს წითელ მთავრობის და ახალ კომისარების მიმართ. მუშათა ჯგუფები პროკლამაციებს ავრცელებენ, ახალ მთავრობის წინააღმდეგ, რომელნიც ოსმალეთის ავანტიურისტებს შეუერთდენო და იმპერიალიზმის სახით მოგვევლინენო.

თავდაცვისათვის

სახალხო გვარდიის მიმართვა მუშათა ინტერნაციონალისადმი

ამხანაგებო! ჩვენი განთავისუფლებულ ქვეყნის ამ პასუხსაგებ და მძიმე მომენტში, როდესაც ოსმალეთ-ბოლშევიკების ბრბოები სამი მხრით სცდილობს ჩვენი დემოკრატიული რესპუბლიკის განადგურებას, საქართველოს შეიარაღებული მუშები მთელ ჩვენ პროლეტარიატთან ერთად კვლავ მოგმართავთ თქვენ, მეგობრულის სალამით და იმედით, რომ თქვენ ჩვენსკენ მოიხედავთ. ამხანაგებო, საქართვ. მუშათა კლასმა აუცილებელ მსხვერპლის საფასურითა და საზღაპრო შრომით გამოსჭედა თავისი თავისუფლება და თავისი შეიარაღებული ხელით ამ თავისუფლებას იცავს. ჩვენ არას დროს არ გვსურდა ომი, ჩვენ ყოველთვის მშვიდობიანობისაკენ ვისწრაფებოდით. ჩვენ არას დროს არავის თავს არ დავსხმივართ. ჩვენ ხშირად გვესხმოდენ. დემოკრატიის მტრებს ხშირად სურდათ ჩვენი შემუსვრა. დღემდის ჩვენ შევძელით ჩვენი თავისუფლების დაცვა და ყოველ მხრიდან შემოსეულ მტერს ვიგერიებდით. ეხლა მოვიდნენ ახალი მტრები—ოსმალ-ბალშევიკები, რომელთაც თავის მწვანე—წითელი დროშებით შეაერთეს და იკრიბებიან ჩვენს საზღვრებთან იმ მიზნით, რომ ჩვენს ქვეყანაში შემოიჭრან. ბოლშევიკებმა ფაქტიურად უარი განაცხადეს წითელ დროშაზე და აქ ზეიმობს წინასწარმეტყველი მწვანე დროშა, და ამ პირობებში ჩვენს წინაშე მთელი თავისი ტრაღიკული სიდიდით წარმოდგა საკითხი თავდაცვისა და მუშათა კლასის ყველა რევოლიუციონური მოღწევის გადარჩენისა. და სახალხო გვარდიის მე-3 კონფერენცია მუშათა კლასის შეიარაღებისაკენ მოწოდებასთან ერთად მიესალმება საერთაშორისო პროლეტარიატს. გაშლილი წითელი დროშებით, ხიშტებით და მტკიცე ვადაწყვეტილებით ქვეყნის ხსნის, ან სიკვდილის შესახებ, შეიარაღებული მუშები და გლეხთა ბათალიონები მიემართებიან თავის განთავისუფლებული ქვეყნის რევოლიუციონურ საზღვრებისაკენ. ჩვენ გვწამს, რომ საერთაშორისო პროლეტარიატი გაიგებს ჩვენს ბრძოლას და თავის ჩარევით შეაჩერებს ვერაგულ ხელს, რომელიც სამივე მხრით არის აწეული ჩვენი ქვეყნისა და პირველად ყოვლისა ჩვენი მუშების თავზე—სახალხო გვარდიის მე-3 კონფერენცია.

მთავარი შტაბის თავმჯდომარე **ვ. ჯუღელი.**

მოწოდება ტფილისის მაზრის მცხოვრებლებს.

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას ახალი საფრთხე მოელის. თათრებმა და ბოლშევიკებმა კავშირი შეჰკრეს და ჩაიგდეს ხელში ძალა-უფლება ბაქოში. თუმცა გათათრებული ბალშევიკები და გაბალშევიკებული თათრები სიტყვით არას ერჩიან ჩვენს ქვეყანას, მაგრამ საქმით მათ მოსპეს უკვე ერთი ერის—ადერბეიჯანის დამოუკიდებლობა. მათი შეიარაღებული ბრბოები მიდიან ეხლა სომხების ამოსაქლეტად და ოსმალეთის ჯარებთან შესაერთებლად. შემდეგ უეჭველია საქართველოს კარებსაც მოადგებიან. მაგრამ აქ დახვდებათ მათ ჩვენი მამაცი ხალხის შეიარაღებული ძალა და ვაი იმის ბრალი, ვინც გაბედავს ამ კარების გადმოლახვას. ბევრი მტერი მოსულა ჩვენი სამშობლოს ასაკლებათ, მაგრამ შერცხვენილი და თავლაფ დასხმული უკან გაბრუნებულა.

დღეს ჩვენი დემოკრატიული რესპუბლიკის თავისუფლება განსაცდელშია. ჩვენი დახოცილი ძმები და შვილები მოითხოვენ სამშოლოს დაცვას. ნუ თუ ვინმე თვენთაგანი გასტეხს მათ ანდერძს? ხელი ხმალს! გამოდით ყველანი სამშობლოს დარაჯათ! დედა შეერთოს ცოლად, ვინც მტერთან ბრძოლაში უკან ჩამორჩეს. ფრთხილად! არ წამოვეთ მტრის ანკესზე. არ მოგხიბლონ მასმა ტკბილმა სიტყვებმა თათარ-ბალშევიკების ბრბოებს უნდათ თქვენი მიწების წართმევა და ოჯახების აწიოკება. იარაღით ხელში გავსცეთ პასუხი ვერაგულათ მოსულ მტერს და დავიცვათ ჩვენი დემოკრატიული წესწყობილება. შიგნით წესიერების დაცვა და გარეთ ბრძოლა მტრებთან—დავისახოთ ყველამ მიზნად. გახსოვდეთ, რომ ამ ბრძოლაში თქვენ მარტონი არა ხართ. თქვენთან ერთად არის მთელი ქვეყნის დემოკრატია. დიდება თავისუფლებისათვის მებრძოლთ და სიკვდილი სამშობლოს მოღალატეებს!

ტფილისის სამაზრო ერობის გამგეობა.

დუშეთის ერობის გამოხმაურება.

ერობათა კავშირმა შემდეგი დეპეშა მიიღო დუშეთიდან:

„დუშეთის მაზრის ერობის გამგეობამ თქვენს მოწოდებაზე დაადგინა მთელი თავისიძალ-ღონით დაიცვას დემოკრატ. თავისი უფლება, საქართველოს დამოუკიდებლობა ბალშევიკურ-ოსმალურ იმპერიალიზმისგან. ამისთვის მივდივართ მაზრაში სასიცოცხლო ძალების ასამუშავებლად.

თავმჯდომარე **ჭინიაშვილი.**

დეპეშები

(საქართვ. დეპეშათა სააგენტო)

პოლონეთი და საბჭოთა ჯარი.

მოსკოვი, მაისის 4. როგორც საზღვარ გარეთულ სარწმუნო წყაროებიდან იუწყებიან პოლონელ თეთრგვარდიელთა შეტევა გამოწვეულია იმ მტკიცე რწმენით, რომ წითელი ჯარი მეომრად არ ვარგა და მას ბრძოლა აღარ შეუძლია. პოლონელების ცნობები იმის შესახებ, რომ თითქოს მათ დიდ გამარჯვებებს მიაღწიეს და საბჭოთა ჯარი მათ უშედეგოთ უტევს, კაპიტალისტური ანტანტა ღებულობს ისე, როგორც ნამდვილ ცნობებს. ანტანტის სახელმწიფოები, რომელთაც საბჭოთა რუსეთთან სავაჭრო დამოკიდებულების აღდგენის შესახებ მოლაპარაკება დაიწყეს, ეხლა კვლავ მერყეობენ. ყველა ეგრეთ წოდებული „გამარჯვებანი“ პოლონეთის თეთრი არმიისა იმაში მდგომარეობს, რომ საბჭოთა რუსეთს, რომელიც გართულია რუსეთის თეთრ გვარდიასთან ბრძოლაში, დასავლეთის ფრონტზე ძალიან სუსტი ძალები ყავდა, რომ საბჭოთა მთავრობას არ სურდა რუსი მუშებისა და გლეხების სისხლის დაღვრა და ამიტომ სცდილობდა პოლონეთის მუშებსა და გლეხებთან თუნდ ცუდი ზავი მაინც შეეკრა და არ უნდოდა პოლონეთის ჯარების სრული განადგურება. პოლონეთის მემამულეებმა იცოდნენ რა, რომ მათ კარგი დღე არ დაადგებოდათ მაშინ, როდესაც საბჭოთა რუსეთი მათი დაპყრობით მიზნების წინააღმდეგ თავის ძალებს შემოჰკრებდა, შესწყვიტეს საზავო მოლაპარაკებანი და შეტევაზე გადმოვიდენ იმ იმედით, რომ ჩვენ დროზე ძალებს ვერ შევკრებდით და მათ ვერ მოვიგერიებდით. ისინი ზეიმობენ. რ. კ. პ. ც. ე. მონდობილობით ყოველდღე რადიო-დეპეშით გადაგზავნილ-გადმოგზავნილი იქნება პატარა წერილები რუსეთ-პოლონეთის ომის შესახებ.

პოლონელების შემოტევისა და მათ მიერ წამოყენებულ მოთხოვნილებათა გამო პარტიამ ფართო მიტინგების მოწყობა დაიწყო შემდეგ ქალაქებში: ტიუმენში, არხანგენლსკში, ასტრახანში, ვიტებსკში, კრასნოვოდსკში, აკმოლინსკში, ენისეისკში, ირკუტსკში, ტომსკში, ომსკში, კიევში, ბრიანსკში, დონის როსტოვში, ჩელიაბინსკში, გომელში, ცარიცინში, ჩერეპოვეცში, უფაში, ურალსკში, ტამბოვში, სიმბირსკში, სმოლენსკში, სარატოვში, სამარაში, რიაზანში, ფსკოვში, პერმში, ეკატერინბურგში, პენზაში, ორიოლში, ორენბურგში, პეტროზავოდსკში, ნოვგოროდში, კალუგაში, ყაზანში, კურსკში, ვიატკაში, ვორონეჟში, ვოლოგდაში, ტაშკენტში, ტობოლსკში, მოსკოვში და პეტროგრადში. წინადადებას ვიძლევით სამი დღის განმავლობაში ქალაქებში მობილიზაციის მოხდენის შესახებ, რის შემდეგ ამხანაგები მოსკოვს უნდა გამოიგზავნონ გუბერნიებში მობილიზაციის მოსახდენათ, სათანადო აპარატებს რაც შეიძლება მოკლე ვადა დაუდეთ.

ფრანგული პრესა.

მილიერანმა პარიზის პრესის წარმომადგენლები მიიღო და შემდეგი განუცხადა: რომ მოვირჩინოთ ომისაგან მიყენებული ჭრილობები, გამარჯვებულმა და მშვიდობიანმა საფრანგეთმა უნდა იმუშაოს და შექმნას. მას არ შეუძლია არც მუშაობა და არც რამიეს შექმნა, თუ ნორმალურად მომუშავე ტრანსპორტი რეგულიარულად არ მოაწოდებს მას აუცილებელ მასალასა და ნახშირს. და ეს საათი ამორჩეულია მისთვის, რომ მოვითხოვოთ რკინის გზის, მაღაროს და ნავთსადგურის მუშებისაგან დაიჭიდონ ხელები გულზე და უფრო გააძნელონ ცხოვრების კრიზისი, რომლის მსხვერპლნი პირველად ყოვლისა თვით იქნებიან. რით ხელმძღვანელობენ ისინი? საზოგადოებრივი აზრი წინააღმდეგია ამ აგიტაციისა და მუქარისა. მთავრობა ნდობით მოუწოდებს მუშებს პატრიოტიზმისაკენ.

ოსმალეთის დელეგაცია

კონსტანტინოპოლიდან იუწყებიან, რომ ოსმალეთის დელეგაცია, რომელსაც პარიზში ზავის პირობების მისაღებად მოელიან სტამბოლიდან 1 მაისს გავიდა. გზაზე დელეგაციას შეუერთდება ამ ჟამად შვეიცარიაში მყოფი გენერალი მახმუდ-მუქთარ ფაშა.

ასპინძის ბრძოლის 150 წლის თავი

1770 $\frac{20}{IV}$ 1920 *)

1914 წელს, მსოფლიო ომის დასაწყისს, რუსის მთავარსარდალმა მიჰმართა პოლონელებს მოწოდებით, რომ მიეღოთ მხურვალე მონაწილეობა სამხედრო მოქმედებაში. რუსეთის ყოფილი პოლონეთი, მართლაც, შეადგენდა ომის მოწინავე სარბიელს, და მშვიდობიან დროსაც იქ იდგა რუსეთის ლაშქრის სამი მეოთხედი, ხოლო ომის გამოცხადების პირველივე ხნიდან იგი შეიქმნა გერმანიის ჯარის უმთავრეს ასპარეზად. ამ მოწოდებაში გასამხნევებლად და მამულიშვილურ გრძნობათა გასაღვივებლად პოლონელებში, რომელნიც სცხოვრობდნენ როგორც რუსეთის პოლონეთში, ისე გერმანიისა და ავსტრიის პროვინციებში, უმაღლესი მთავარსარდალი სწერდა:

„პოლონელებო, დაჭკრა ჟამმა, როდესაც თქვენი მამა-პაპების გულითადი მოლოდინი შეიძლება აღსრულდეს. საუკუნე ნახევრის წინად ცოცხალი ტანი პოლონეთისა დაიგლეჯა ნაწილებად, მაგრამ მისი სული კი არ მოკვდა- იგი ცხოვრობდა იმედით, რომ დადგება დრო პოლონელ ხალხის აღდგომისა ძმურ დამეგობრებით დიდ რუსეთთან. რუსის ლაშქარს მოაქვს თქვენთვის კეთილი ამბავი ამ დაზავებისა. დეე დაინგრეს მიჯნები, ნაწილებად დამყოფი პოლონეთის ხალხისა„.

ამ მოწოდებამ პოლონელთა შორის ძოახდინა ძლიერი შთაბეჭდილება და იგინი თავიანთ ფარულ მამულიშვილურ ოცნებათა მისაღწევად იმისა, რომ ჰოლონეთს ხვდებოდა ყველა საშინელებანი გერმანელთ მოსევისაგან, მიუხედავად იმისა, რომ ბელგიელების შემდეგ ყველაზე მეტად დაზარალდნენ პოლონელები, იგინი მთელი ბრძოლის განმავლობაში დაშთნენ ერთგულნი და უკეთეს მერმისს იმედის მქონენი თავგამეტებით იცავდნენ სამშობლოს.

უმაღლესი მთავარსარდალი დაკმაყოფილდა მით, რომ აღნიშნა ისტორიული უსამართლობა მხოლოდ პოლონელთ შესახებ, მაგრამ ეკატერინე II-ემ ჩაიდინა მთელი რიგი ასეთ „ისტორიულ უსამართლობათა“.

თანამედროვულად რომ გამოვთქვათ, ეკატერინეს იმპერიალისტური პოლიტიკა თავის მსვლელობაში შეხვდა მთელ რიგ დამოუკიდებელ ხალხებისას, რომელნიც თავიანთ არსებობით აბრკოლებდნენ რუსთა დიპლომატების ამ თუ იმ მიზნების განხორციელებას. არ შეიძლება, რასაკვირველია, უვარყოთ ის, რომ ეკატერინეს მეფობის ჟამს რუსეთს არ შეეძლო მომწყვდეულიყო მაშინდელ ვიწრო გეოგრაფიულ საზღვრებში, მეტადრე სამხრეთისებში, საცა მისთვის საჭირო იყო გასავალი შავზღვაზე. როგორც პოლიტიკური მიზნები, ისე ეკონომიური წინამძღოლობანი აიძულებდნენ ეკატერინეს მიეღწია შავზღვის კიდეებამდე და მოესპო გზის გამლობავი სახელმწიფო და ასეთი კი იყო მაშინ პოლონეთი.

შავი ზღვის ჩრდილოეთ კიდეზე, თავრიდის ნახევარ კუნძულზე, ჯერ ისევ მონგოლთა ოქროს ურდოს ჟამს დაარსებული იყო ყირიმის სახანო. თავის ძრიელების დროს მას ჰქონდა დიდი სამხედრო ძალა და ამას გარდა შემწედ ჰყვანდა ოსმალეთის სულთანიც, რომელიც მიიჩნია თავის უმაღლეს მფარველად. როგორც ოსმალეთის უერთგულესი მოყმენი, ყირიმის ხანები არა ერთგზით ესეოდნენ და იკლებდნენ სამხრეთ რუსეთს.

1768 წელს უკრაინაში, ჟელეზნიაკის წინამძღოლობით მოხდა ყაზახების ამბოხება. ყაზახებმა, გამოაცხადეს რა თავისი თავი მებრძოლად დაჩავრულ მართლმადიდებლობისა, იწყეს უწყალო ჟლეტა პოლონელებისა, და დაანგრიეს თათრების მომიჯნავე სოფელი გალტი. ოსმალეთის მთავრობამ, წაქეზებულმა ფრანგების მიერ, ისარგებლა ამ შემთხვევით და უბრძანა ყირიმის ხანს გაეფხრებინა სამხრეთ რუსეთში მოწყობილი ახალშენი ნოვაია-სერბია.

ამას გარდა ოსმალეთმა, სცნო-რა, რომ რუსეთის ჩარევა პოლონურ საქმეებში გავლენას ახდენს პორტის ინტერესებზე, გამოუცხადა რუსეთს ომი.

ეკატერინეს ტახტზე ასვლისას კანცლერმა მ. ლ. ვარანცოვმა მიართვა მას რამდენიმე მოხსენება საპოლიტიკო საქმეების შესახებ. ერთ მათგანში, სახელით „ოტტომანის პორტას შესახებ, იგი ამტკიცებდა, ოსმალეთს შეუძლიან გვავნოს პოლონეთის და სპარსეთის საქმეების გამოო და ყირიმის ხანების შემწეობითაო, მეორეს მხრივ, რუსეთი საშიში იყო ოსმალეთისთვის, როდესაც ჰფლობდაო აზოვს და დონის შესართავს და როდესაც მუნ ჰყვანდა თავისი საზღვაოსნო ძალები. მაგრამ შემდეგ 1739 წლის ტრაქტატისა, რომლის მიხედვით აზოვის მიწები დატოვებულ იქმნა ვითარცა „საბარიერო“, რუსეთს აღარ შეუძლიაო ავნოს ოსმალეთს, და ამიტომ ყოვლის ღონისძიებით საჭიროაო ყირიმის შეძენა. ეკატერინემ მოხსენება წარუდგინა მის მიერვე აღდგენილ საბჭოს განსახილველად, და ამან დაადგინა: „დაცულ იქმნას თავისუფალი ცურვა შავზღვაზე და ამიტომ ჯერ ისევ ომის დროს ვეცადოთ შევქმნათ ნავთსაყუდელი და ციხეები, ხოლო პოლონეთის მხრივ დავამტკიცოთ ისეთი საზღვრები, რომელთა მეოხებით მშვიდობა არ დაირღვევა საუკუნოდ“.

(გაგრძელება იქნება).

ადერბეიჯანი და სომხეთი

ადერბეიჯანის ბოლშევიკურ მთავრობის ულტიმატუმი სომხეთის მთავრობას.

ადერბეიჯანის რესპუბლიკის გარეშე საქმეთა კომისარის მოადგილეს გუსეინოვს სომხეთის მთავრობისთვის გაუგზავნია შემდეგი ნოტა:

„მუშათა და გლეხთა ადერბეიჯანის მთავრობა, რევოლიუციონური კომიტეტი მოითხოვს, რომ ყარაბახის და ზანგეზურის რაიონებიდან გაიყვანოთ ჯარი, გადახვიდეთ თქვენს საზღვრებზე და შესწყვიტოთ ეროვნებათა შორის ხოცვა-ჟლეტა. წინაღმდეგ შემთხვევაში ადერბეიჯანის სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტი ჩასთვლის თავის თავს საომარ მოქმედების განწყობილებაში სომხეთის რესპუბლიკ. მთავრობასთან. პასუხი ნოტაზე მიცემული უნდა იყოს სამი დღის განმავლობაში. № 161, 30 აპრილი 1920 წ. ბაქო. ადერბეიჯანის რესპუბლიკის გარეშე საქმეთა კომისარის მოადგილე გუსეინოვი“.

*) ვბეჭდავთ ამ ვრცელ წერილს ასპინძის ომის 150 წლის თავზე გენერალური შტაბის სამხედრო-საისტორიო არქივის თხოვნით, როგორც ფრიად მნიშვნელოვან ისტორიულ მასალას, განსაკუთრებით მეტად საყურადღებოს ჩვენი ახალგაზრდა ჯარისათვის. გენერალურ შტაბს საჭიროდ მიაჩნია ეს წერილები სხვა გაზეთებმაც გადაბეჭდონ.

რედ.

სომხეთის პასუხი.

1 მაისის თქვენი ნოტის საპასუხოთ გაცნობებთ, რომ სომხის ჯარები ადერბეიჯანის ტერიტორიაზე არ იყო და არც არის. პირიქით, ადერბეიჯანის ბეგ-მუსავატური მთავრობის ჯარი არის სომხეთის ყარაბახის საადგო ოლქებში და დიდი ხანი არ არის რაც იქ ქლეტენ სომხის მცხოვრებთ და სწვავენ სოფლებს და ქალაქებს. ყარაბახის მცხოვრებლებმა ბევრჯერ განაცხადეს გლეხთა დეპუტატის ყრილობაზე, რომ ისინი არ შეუერთდებიან ადერბეიჯანს და ადერბეიჯანის ჯარიც იმისთვის არის ამ ოლქში, რომ ჩაჰკლას ეს სურვილი თვითგამორკვევისკენ მიმავალ ერში.

ვინაიდან სომხეთს სრულიათ არ ჰყავს ჯარი ადერბეიჯანის ტერიტორიაზე, მისი მთავრობა გთხოვთ თქვენ წინადადება მისცეთ ახალ მთავრობას, რათა მან გაიყვანოს ჯარი სომხეთის ყარაბახის საზღვრებიდან, შემდეგ მეცხრეთ დაეკითხოს ამ ნაწილის მცხოვრებთ და მოიქცეს იმათი სურვილის თანახმათ.

საბჭოთა მთავრობის განცხადებას, როგორც მშვიდობიან შუამავლისას და საადგო საკითხების გადამწყვეტისას, მიესალმება ყარაბახის დატანჯული გლეხობა. სომხეთის მთავრობა წინადადებას აძლევს საბჭოთა სოციალისტურ რუსეთის წარმომადგენლებს, გგზავნონ ყარაბახში ნეიტრალური კომისია, საქმის ნამდვილი ვითარების გამოსარკვევათ. ზემოთ აღნიშნულის მიხედვით, ჩემს მთავრობას საჭიროთ მიაჩნია განაცხადოს რომ ამ შემთხვევაში არაფერი საფუძველი არ აქვს ულტიმატიურ ნოტას და დარწმუნებულია რა რომ მუშებსა და გლეხების მთავრობა საბჭოთა რუსეთისა, რომელმაც დიდი ხანია რაც იცნო სომხეთის დამოუკიდებლობა ლენინის დეკრეტით და საბჭოთა ყრილობით — არ ისურვებს ძალადობა იხმარონ სომხეთის მშრომელ ერზე, რომელიც წლობით იწრიტება სისხლიდან.

ორი მაისი. გარეშე საქ. მინისტრი **გ ე ნ ჯ ა ნ ი ა ნ ი.**

ბ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა ნ ი

მიხეილ იაკობის ძე დავარაშვილმა დავკარგე სამხედრო სამსახურიდან განთავისუფლების მოწმობა მოცემული გორის სამხედრო უფროსისგან № 1102. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 826 3—1

დაიკარგა პასპორტი ვერა იოსების ასული ბაქრაძის სახელზე, მიღებული თელავის მაზრის უფროსის სამმართველოდან 1904 წ. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 830 3—1

ელენე ფრანცის ასული ლენიაკინა აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ნასყიდობის სიგელი, დამტკიცებული ტფ. ოლქ. სასამ. უფროსი ნოტარ. მიერ 1910 წ. აპრილის 1[illegible]-ს № 1160. 825 3—1

მეჯვრისხევის უბნის მომრიგებელი მოსამართლე, ტფილისის გუბერნიისა, იწვევს გარდაცვალებულ სოფ. ხელთუბანში, გორის მაზრის, ტფილისის გუბერნიისა, ივანე მოსეს ძე ფალელაშვილის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება ფალელაშვილის ქონებაზე სასოფლალაქო კანონ კრებულის მეათე ტომის პირველი ნაწილის 1241 მუხლში აღნიშნულ ვადაში. 387 1—1

ქ. ტფილისის მე-16 უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ გეგორქ გლახას ძის ბაკარიანცის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება ბაკარიანცის ქონებაზე. თანახმათ 1241 მუხ. ძალ. 1 ნაწ. X ტ. (კრებ. სამოქ. საქ. გამოც. 1887 წლ.) 761 3—1

პორფირე მალაქიას ძე შიშინაშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა სამხედრო ბეგრისაგან თავისუფლების საბუთები: 1 მიღებული 1 მესანგრეთა როტიდან; 2.—1 პოლკიდან; 3.— პირველი ცხენოსანთა რაზმის სამმართველოდან და 4— ქუთაისის გვარდიის შტაბიდან მიღებული მოწმობა, აგრეთვე მეტრიკული ამონაწერი. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 821 3—2

დაიკარგა სერებრიანი ქუჩაზე № 41 მდებარე ლიდია ალექსის ასულის პეტროვსკის სახლის დავთარი. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 823 3—2

დაიკარგა რკინის გზის გადაღმა მდებარე აბრამ ახვერდოვის სახლის დავთარი. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 829 3—2

არშაკ ყაზარის ძე გასპაროვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა საბინაო დავთარი სახლის რომელიც მდებარეობს შემახის ქ., № 36. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 789 3—3

დაიკარგა პასპორტი № 307 დავით ალშვანგის სახელზე, მიღებული უკრაინის კონსულის სამმართველოდან ქ. ტფილისში. გაუქმებულათ ჩაითვალოს, 796 3—3

დაიკარგა ატესტატი № 459 ფერდინანდ იოსების ძე ალმენდინდგერის სახელზე, მიღებული ტფ. 1 კომერციულ სასწავლებლიდან. გ.უქმებულათ ჩაითვალოს. 801 3—3

დამეკარგა მოწმობა აღებული ტფ. ქალ. სამხედრო აღრიცხვის ნაწილის უფროსისგან 23 თებერ. 1920 წ. № 763, საქ. რესპ. სათადარ. ლაშქრის ოფიცერი შალვა თ. ნადარეიშვილი. 811 3—2

დაიკარგა პირადობის მოწმობა ოლღა ბარისის ასული თვაურის სახელზე მომარაგების კომიტეტის № 55. ჩაითვალოს გაუქმებულათ 805 3—2

ნიკ. ელიავა აცხადებს, რომ მან დაჰკარგა დამფუძნებელი კრების წევრობის ბილეთი № 54 გაუქმებულათ ჩაითვალოს. 488 3—2

დავკარგე ექვსი სულის სასურსათო წიგნაკი № 2054 პლატონ კონსტანტინეს ძე მოდებაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 837 3—2

დაიკარგა პასპორტი № 3371 არქეოლოგი ვიაჩესლავ ონუფრის ძე კრუგლიკის სახელზე, მიღებული ოდესის გროდონაჩალნიკის სამმართველოდან 1919 წ. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 846 3—2

სოფელ ახალქალაქის ერობის გამგეობა აცხადებს, რომ მისგან მიცემული მოწმობები სოფელ მეტეხის მოქალაქეებზედ 1. მიხეილ იაბორიძის № 1233. 2. ანდრია ზაქარიას ძე კალატოზიშვილის № 1239 და 3. გიორგი ზურაბის ძე პატარქალაშვილის № 1240, საკუთარი მამულის რაოდენობის შესახებ, გაუქმებული არის დღეიდან დ ნატარიუსებმა არ უნდა დაუმტკიცოს ზემოაღნიშნულ პირთ. 861 3—2

დაკარგულია ევა მაქსიმეს ასულის ჯავახიშვილის სახლის წიგნი (მამა-დავითის მოედანი, ნაკადის შესახვევი, № 4) გაუქმებულათ ჩაითვალოს. 818 3—1

დაკარგულია ფოთის საბაჟოდან საზღვარგარეთ გასატანი რკინის გზიდან გამოწერილი ორი ცისტერნი ნავთის დუბლიკატები, რომელიც იყო გამოგზავნილი ტრანზიტით ფოილოდან № 36 და 39 და 342848—343186 ვაგონებით დადაშვის სახელზე და რომელიც ფოთში რკინის გზიდან 14—25 აპრილს 1919 წელს გამოწერილი შემდეგ სრულ საკუთრებათ იყო-გადაცემული განსვენებელი კონსტანტინე ეგნატეს ძე ნარსიაზე, ეს ნავთი არის დღესაც ფოთის პორტის საწყობში, 351 ცალი ფუთიან და 150 ცალი ორ ფუთ ნახევრიანი ბიტონები. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 810 3—3

რახმან ისაკის ძე ბახანოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა უვადო პასპორტი № 4139, მიღებული სოფლის სამმართველოდან 1917 წ. სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლების მოწმობა, მიღებული ტფილ. მაზ. სამხ. უფროსიდან 1919 წ. საბუთები გაუქმებულათ ჩაითვალოს. 772 3—2

ქალაქ ტფილისის გამგეობა ამით აცხადებს, რომ 1920 წ. 6 მაისს, სამშაბათს, დილით 12 საათზე, ქალაქის გამგეობის დარბაზში დანიშნულია (თვითმმართველობის შენობა, თავისუფლების მოედანზე) საჯარო ვაჭრობა ქალაქის სასწორის, რომელიც მდებარეობს თათრის მოედანში მე 5 უბანში, იჯარით გასაცემათ. პირობების გაცნობა და საჭირო ცნობების მიღება შეიძლება ქალაქის საიჯარო და საადგილ-მამულო განყოფილებაში ნაშუადღევის 2—3 საათზე. 30 აპრ. 2 და 6 მაისს. 483 3—2

ვარლამ ფარნაოზის ძე ხვედელიძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი, მიღებული კულაშის თემის გამგეობიდან 1920 წ. თებერვლის 14-ს, № 249 და სამხედრო ბეგრისგან განთავისუფლების მოწმობა. საბუთები გაუქმებულია. 444 3—3

მომარაგების სამინისტროს მიერ
გაცემული ნებართვების სია.

რიცხვი	ნებართვის №№	სერია.	ფურცელი	გვარი და სახელი.	ს ა ქ ო ნ ე ლ ი.
23 მარ.	2083	33	1625	სააქც. საზ. „ჟირომას“	საპონი.
„	2084	10	487	ნო (Nou) შარლო.	საბარგო შინები.
„	2085	33	1630	საქ. სახ. რკ. გზებ. სასურ კომიტ.	კოჭის ძაფები.
„	2086	„	1631	„ „ „ „ „	შაქრის ფხვნილი და პაპიროს.
„	2089	„	1608	„სლონის“ თამბ. ფაბრიკა.	პაპიროსები და დამუშ. თამბაქო.
„	2090	„	1609	„ „ „	დამუშავებული თამბაქო.
„	2091	„	1610	„ „ „	პაპიროსები და დამუშ. თამბქო.
„	2092	33	1611	„ „ „	დამუშ. თამბაქო.
„	2093	„	1612	„ „ „	პაპიროსები და დამუშ. თამბაქო.
„	2094	„	1613	„ „ „	დამუშ. თამბაქო.
„	2095	„	1614	„ „ „	პაპიროსები და დამუშ. თამბ.
„	2096	„	1622	აფრიკიანი კონსტანტინე.	ხეხილის ნამყენი.
„	2097	„	1629	დელიჯანის სამაზ. კოოპ. კავშ. წარმ.	სხვა და სხვა საქონელი.
„	2098	10	472	რუსთა სარ. და სავაჭრო საზოგადოებას.	ქვა ნახშირი.
„	2103	„	485	მთიელთა რეს. თავდაც. საბჭ. წარმ.	მედიკამენტები.
„	2104	„	486		
24 მარ.	2105	„	490	გაზეთ „ისკრას“ წარმ. კოკილაშვილი.	გაზეთის ქაღალდი.
„	2106	33	1628	მახ. აღმოს. ამერიკელთა დამხმ. კომიტეტს.	საკანცელარიო ნივთები.
„	2107	„	1647	საქ. სახ. რკ. გზ. სასურ. კომიტ.	ზღვის მარილი და ლილა.
„	2108	„	1643	ძმ. სეილანოვების თამ. ფაბრიკა.	პაპიროსები და დამ. თამბაქო.
„	2110	„	1648	საკოვა ბაიაზ.	ნოხები და ხალიჩა.
„	2111	—	—	თაჯუშოვი გრიგორი.	სხვა და სხვა საქონელი.
„	2112	„	1639	თათმანიანცი გასპარ.	ხიზილალა.
„	2113	10	455	შავი ზღვის განმათავის. კომიტ.	გაზეთის ქაღალდი.
„	2117	„	488	შოფერ გაბრიელ გენტინს.	ავტომობ. ცილინდრა, შინები, კამერები, მატენი, პორშნა და სხვ.
„	2118	33	1644	ერმავიანცი აკოფი.	წმინდა სანთელი.
„	2119	31	1544	აზ. რესპ. სახელს. უნივ. გამგ. წარმ.	ზღვის მარილი და ლილა.
„	2120	33	1632	„ბოზარჯიანცის“ თამბ. ფმბრიკა.	პაპიროსები და დამ. თამბაქო.
„	2121	„	1633	„ „ „	„ „ „ „
„	2122	„	1634	„ „ „	„ „ „ „
„	2123	„	1635	„ „ „	„ „ „ „
„	2124	„	1636	„ „ „	„ „ „ „
„	2125	„	1637	„ „ „	„ „ „ „
25 მარ.	2133	10	496	გოლმა ვერნერო.	საათები.
„	2134	„	478	კავკ. სამრეწვ. და სამეც. საზ. რწ. ლაპკინი.	ქერი და სიმინდი.
„	2135	34	1679	მაიორი კელოვი.	ხალიჩები.
„	2136	„	1680	პოლკოვნიკ მაკანენი.	„
„	2137	„	1654	„ენფიანჯიანცის“ თამ. ფაბრიკა.	პაპიროსები.
„	2138	„	1655	„ „ „	დამუშ. თამბაქო.
„	2139	„	1656	„ „ „	პაპიროსები.
„	2140	10	475	მოძ. სამ. რწმ. საყვარელიძეს.	ბრინჯი და ფხვნილი შაქარი.
„	2141	„	491	გაწერილია დ. ა.	კარაქი.
„	2142	„	492	„	„
„	2143	„	493	„	„
„	2145	„	497	სომხ. დიპლმ. მისიის წარმომადგ.	მედიკამენტები.
„	2146	„	500	ამერ. მახლ. აღმ. დამხ. კომ. ფაბრიტს.	„
„	2147	9	407	„ „ „ „ „	ხალიჩები.
„	2148	34	1681	ლეიტენანტ ნოელი.	„
„	2149	33	2149	ვანუსევიჩისა ელისაბედ.	საშინაო წვრ. ნივთები.
„	2150	34	2150	ჯელილ ბეგ ხიმშიაშვილს.	ხალიჩები.
„	2151	10	499	ბორბლის მაზის ქარხ. „მერკურ“	ბორბლის მაზი.
„	2152	34	1678	სომ. რეს. გენერ. კონსულს ჯიმიშკიანს.	სხვა და სხვა ნივთები.
„	2153	33	1623	ანტონიგოვი ვლადიმერ.	სხვა და სხვა სათამაშოები.
„	2158	34	1685	ბუტოვი ტროფიმე.	ქერი ტომრებით.
„	2159	„	1686	„ „	„ „
„	2160	„	1687	ხლისტოვი მოსე.	პურის ფქვილი.
„	2161	„	1688	დანილოვი იაკობი.	სხვა და სხვა საქონელი.
„	2162	„	1663	ნავთის მრეწვ. საზ. „დეანეტ“.	ხე-ტყის მასალა.
„	2163	„	1664	„ „ „ „	„ „
„	2164	„	1665	„ „ „ „	„ „
„	2165	„	1666	„ „ „ „	„ „
„	2166	—	—	ვარანცოვკის კოოპ. რაიონ. კავშ.	სხვა და სხვა საქონელი.
„	2167	—	—	„ „ „ „	„ „ „ „
„	2168	34	1689	ედილოვი არტემ.	ფეხით საკერავი მაშინა.
„	2169	„	1693	სომხ. სამხ. შტაბის წარ. აკაროვი.	პაპიროსები.
„	2170	33	1641	ბოგატინი მოსე.	სათამაშოები.
„	2171	30	1500	„ენფიანჯიანცის“ თამბ. ფაბრიკა.	პაპიროსები და დამუშ. თამბაქო.
„	2172	31	1501	„ „ „	„ „ „ „
„	2173	„	1502	„ „ „	„ „ „ „
26 მარტ.	2174	33	1649	„კავკასია“ს თამ. ფაბრიკა.	პაპიროსები და დამუშ. თამბ.
„	2175	35	1707	„ენფიანჯიანცის“ თამ. ფაბრიკა.	„ „ „ „
„	2176	33	1642	ამატუნი არშალუის.	სამხატვრო საღებავები.
„	2177	10	495	ლანგი ოტტო.	გლაუბერის მარილი და კაჟი.
„	2178	34	1690	მაზის ქარხნის „მერკურის“ პატრონებს ევსეევს და ლემბერგს.	ბორბლის მაზი.
„	2179	„	1651	ბილზის ფაბრიკა „პობედა“.	პაპიროსების ბილზი.
„	2180	„	1652	„ „	„ „
„	2181	35	1708	სენაკის სამაზ. ერობის გამგეობას	თხილი ტომრებით.
„	2182	„	1709	„ „ „ „	„ „
„	2183	„	1710	„ „ „ „	„ „
„	2184	„	1711	„ „ „ „	„ „
„	2185	„	1712	„ „ „ „	„ „
„	2186	„	1713	„ „ „ „	„ „
„	2187	„	1714	„ „ „ „	„ „
„	2188	„	1715	„ „ „ „	„ „
„	2189	„	1716	„ „ „ „	„ „
„	2190	„	1717	„ „ „ „	„ „
„	2191	—	—	კონსტანტინოვი პავლე	სხვა და სხვა საქონელი.
„	2192	34	1667	ძმ. სეილანოვების თამბ. ფაბრ.	პაპიროსები და დამუშ. თამბაქო.
„	2193	„	1668	„ „ „ „	„ „ „ „
„	2194	„	1669	„ „ „ „	„ „ „ „
„	2195	„	1670	„ „ „ „	„ „ „ „
„	2196	„	1672	„ „ „ „	„ „ „ „
„	2197	„	1673	„ „ „ „	„ „ „ „
„	2198	„	1674	„ „ „ „	„ „ „ „
„	2199	„	1675	„ „ „ „	„ „ „ „
„	2200	„	1676	„ „ „ „	„ „ „ „
„	2201	„	1677	„ „ „ „	„ „ „ „

სახელმწიფო სტამბა.

რედაქტორის მოვალ. აღმ. **გრიგოლ მაჭავარიანი.**